ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7813252

ნომერი: AR11126600

თარიღი : 29.01.2026

გაცემის თარიღი : 18.02.2026

გაცნობის თარიღი : 18.02.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ნიკოლოზის ქუჩა N2/კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა N2,;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- " "
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2026 წლის 29 იანვრის AR11126600 განცხადება.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ. N2/კოსტა ხეტაგუროვის ქ. N2-ში არსებულ შენობა-ნაგებობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, თქვენ მიერ არსწორად მოხდა განცხადების დარეგისტრირება.
ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საჭიროა პირველ ეტაპზე გაიცეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განგიმარტავთ, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.